



## საქართველოს მიერ ტრანსგენდერი მამაკაცების სქესის სამართლებრივი აღიარების უარყოფა ევროპულ სასამართლოში განიხილება

*„სამართლებრივი გენდერული აღიარების პროცესი, არ არის დარეგულირებული სახელმწიფოს მიერ. ეს ზრდის უმუშევრობის და სიღარიბის რისკს ტრანსგენდერი ადამიანებისთვის, რომელიც საბოლოოდ მათ მარგინალიზაციისკენ მიუძღვის და ქმნის მათ დრეკადს და მგრძობიარეს ტრანსფობიური, სიძულვილზე დაყრდნობილი დანაშაულებისთვის. სტიგმა, უმუშევრობა და სიღარიბე წარმოადგენს სამომავლო ბარიერებს ტრანს ადამიანებისთვის, იმ ინსტრუმენტებზე წვდომაში, რაც მათ ესაჭიროებათ სამართლებრივი გენდერული აღიარების მოპოვებისთვის, და ქმნის მანკიერ წრეს, რომელიც ძალიან რთულია გადასალახად.“ ქეთი ბახტაძე (იურისტი), WISG*

ორი ქართველი ტრანსგენდერი მამაკაცი, ბატონი დ და ბატონი კ ასაჩივრებენ საქართველოს ხელისუფლების უარს მათ ოფიციალურ დოკუმენტაციაში გენდერული მარკერის შეცვლაზე.<sup>1</sup> განმცხადებლებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს 2017 წელს და 2019 წლის მარტში ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ევროპული ცენტრმა (EHRAC) და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა (WISG) წარადგინეს პასუხი საქართველოს მთავრობის დაკვირვებებზე ამ საქმეებში.

ორივე აპლიკატის მოთხოვნაა, რომ მათი გენდერული მარკირება ასახულიყო ოფიციალურ დოკუმენტებში, მათ მამრობით იდენტიფიცირებასთან შესაბამისად, უარყოფილი იქნა საქართველოს ხელისუფლების მიერ. ეს გადაწყვეტილება დასაბუთებული იქნა იმით, რომ გენდერული მარკირების შეცვლისათვის თავდაპირველად აპლიკანტების სქესის საოპერაციო ცვლილება იყო აუცილებელი. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი ოფიციალურ დოკუმენტებში ამის ასახვა. ამ ტიპის ოპერაცია კი სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემაში არ არის გათვალისწინებული ან კანონით მოთხოვნილი, რაც ნიშნავს რომ ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი გენდერის

---

<sup>1</sup> დ-ს განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2017 წლის 1 აგვისტოს, ხოლო კ-ს განაცხადი 2017 წლის 10 ოქტომბერს წარედგინა. ორივე მათგანს სურს, რომ ისინი ანონიმურად დარჩნენ ევროპული სასამართლოს წინაშე.



სამართლებრივად აღიარებას. დოკუმენტების გარეშე, რომლებიც ასახავს მათ შექმნილ გენდერულ იდენტურობას, აპლიკანტები ოფიციალური დოკუმენტების წარდგენისას ყოველთვის ხდება დამამცირებელი მოპყრობისა და სიტყვიერი შეურაცხოვის ობიექტი. მაგალითად, როცა მათ უხდებოდათ სამედიცინო და საბანკო დაწესებულებებით სარგებლობა, საზღვრის გადაკვეთისას საბუთების წარდგენა. მათთვის შეუძლებელია მუდმივი სამსახურის შოვნა და ასევე არ შეუძლია თავისი შვილების აღზრდაში ეფექტური მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ მიღებული იქნა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, საქართველო მაინც რჩება სოციალურად კონსერვატიულ ქვეყნად. მათი მდგომარეობა მათთვის შიშისა და მღელვარების საგანია და იწვევს მათ იზოლაციას საზოგადოებაში.

*„ეს საქმეები ასახავს სისტემურ პრობლემას საქართველოში. სამართლებრივი გენდერული აღიარების მიღება, არის არსებითი იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ტრანს ადამიანების ცხოვრება ღირსებით, ყველანაირი შევიწროვების, ჩაგვრის, შიშის და დისკრიმინაციის გარეშე. თუმცა, საქართველოს კანონი ვერ ახერხებს ნათლად მოახდინოს იმ მოქმედების წესის რეგულირება, სადაც ტრანს ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ სამართლებრივი გენდერული აღიარება, შეუთავსებელი და უნებლიე შედეგების გარეშე, როგორც ამ ორ საქმეში ჩანს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ საქმეებში ევროპის სასამართლოს წინაშე წარდგენით, ტრანს ადამიანების პოზიცია, რომლებიც ეძებენ სამართლებრივ გენდერულ აღიარებას საქართველოში, იქნება უფრო ნათელი და მარტივი მომავალში.“* რამუტე რემეზაიტე (იურიდიული კონსულტანტი) და ჯოანე სოიერი (იურისტი), EHRAC

ამ რამდენიმე ხნის წინათ ევროპულმა სასამართლომ [ფრანგულ საქმის](#) განხილვისას დაადგინა, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციის მოთხოვნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევაა (მუხლი 8, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ECHR). ამის საფუძველზე დ. მიუთითებს რომ მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება ირღვევა და ის არ არის ვალდებული რომ ამ ტიპის ოპერაცია გაიკეთოს, და რომ საქართველოს მთავრობამ არაფერი გააკეთა



მისი გენდერული მარკერის ჩანაწერის ოფიციალურ დოკუმენტებში შესაცვლელად ისინი ასევე უთითებენ რომ ამ სიტუაციის გამო ხდება დამამცირებელი მოპყრობის ობიექტი (მუხლი 3, ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენცია ECHR). იგი თვლის რომ არის დისკრიმინაციის ობიექტი თავისი გენდერული იდენტურობის გამო. (მუხლი 14, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ECHR).

სასამართლოს აქამდე არ დაუდგენია დარღვევა, რომელიც ეხება გენდერულ აღიარებასთან დაკავშირებულ დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას. წარმატების შემთხვევაში, ეს ასევე იქნება პირველი შემთხვევა, როცა სასამართლო დაადგენს დისკრიმინაციას ტრანსგენდერ ადამიანებთან მიმართებით.



ბრზო უტევს მინი ავტობუსს, რომლითაც ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველი აქტივისტები გადაადგილდებიან ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეს (IDAHO), 2013 წლის 13 მაისს თბილისის დემონსტრაციაზე. REUTERS/Stringer.

საქმის მნიშვნელობისა და ინტერესის გათვალისწინებით, სასამართლომ გასცა მესამე მხარის ინტერვენციის ნებართვა და საქმეში ერთვება ორი ორგანიზაცია - ILGA ევროპა და ტრანსგენდერ ევროპა, საქმეზე ჩართვის ნებართვა ასევე გაიცა გენდერის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის.

ეს საქმეები ამ ორი ორგანიზაციის - ადამიანთა უფლებების ევროპული ადვოკატების ცენტრისა (EHRAC) და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი

ჯგუფის (WISG) პირველი ერთობლივი საქმეა. ჩვენი არგუმენტაციის მხარს უჭერს მანჩესტერის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტის პროფესორის, სტეფან ვიტლის მიერ შედგენილი ანგარიში, რომლის მიხედვითაც აშკარაა რამდენად გამანადგურებელი ეფექტი აქვს გენდერული მარკერის სამართლებრივი აღიარების უარყოფას ტრანსგენდერ პიროვნებაზე. [ადამიანის უფლებათა ევროპული ადვოკატების ცენტრი \(EHRAC\) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წარადგენს WISG- სასამართლოს წინაშე ბრზოს მიერ ლგბტ აქტივისტთა შეურაცხყოფის საქმის განხილვისას. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, 2013 წელს.](#)